ხოლო კალისტოს ესე იყო ძმ **აქტიოსისი**, დიდისა მთავრისა **პრომელისა**. **ომა**ს **კალისტოს**ს სული ბოროტი აქუნდა. **ოა** ამან იხილა **ეპიფანე** ჩუენებით ძილსა შინა და ჰრქუა მას: «გინებსა, **კალისტო**, რადთა განგადო სული ეგე შენგან?» **ხოლო კალისტოს** ჰრქუა: «ვინ ხარ შენ, უფალო ჩემო, რომელი შეუძლებ განძებად ამისა?» **ხოლო ეპიფანე** ჰრქუა **კალისტეს**: «მე ვარ **ეპიფანე ფინიკელი პალესტინისა**, რომელი **სპანოდრიონისა** ვიყოფი მონასტერსა. **მკუეთუ** განგადო სული ეგე ბოროტი შენგან, მოვედ და იყავ შენ ჩემ თანა **სპანოდრიონს**». **ჰაშინ კალისტოს** ჰრქუა **ეპიფანეს**: «უფალო, განაძე ჩემგან არაწმიდად ესე სული, და ვიყოფოდი შენ თანა». **სრქუა ეპიფანე**: «იხილე, **კალისტო**, ნუუკუე სხუად რადმე ჰყო და კუალად შენდავე შევიდეს იგი».

ოითარ უკუე განიღუბა **კალისტოს**, **ოთხრა** ესე ყოველი მამასა თვსსა მთავარსა. **ოა** მიერ უკუე დღითგან არღარა **კალისტოს** იურვოდა სულისა მისგან არაწმიდისა.

ჰაშინ შემდგომად სამისა თთვსა ჟამთა ჰრქუა **კალისტოს** **აქტიოსს**, მამასა მას თვსსა: «მინებს, მამაო წარსულად სოფელსა მას **ფინიკელთასა**, რადთა მოვიძიო **ეპიფანე** და ვიყოფოდი მის თანა **სპანოდრიონს**». **ჰაშინ** მექსეულად მამამან მან მისმან მისცა მას ხუასტაგი მრავალი და წარმოავლინა იგი გუნდითა, და მოვიდა იგი **ფინიკელ** და ეძიებდა და მოვიდა იგი **ეპიფანესა** და **ოთხრა** მას ყოველივე იგი და დაადგრა ჩუენ თანა.

ჰაშინ წარავლინა ფილოსოფოსმან მან **კალისტოს** ბრძანებითა **ეპიფანესითა** **ორითა** ყრმითა და სამითა აქლემითა **ედესად** მოღებად წიგნებისა მის მონასტრად. **ჰაშინ** მივიდა **კალისტოს** **ედესად** და მოიღო წიგნები იგი ფილოსოფოსისად მის და აღჰკიდა იგი სამსა მას აქლემსა და მოვიდა იგი მონასტრად.

23. **ჰაშინ** უკუე დღითი-დღედ **ეპიფანე** და სხუად იგი **ეპიფანე**, რომელ არს ფილოსოფოსი, დიდსა მას პასუხობასა შინა იყვნეს იგინი ურთიერთას. **ჰაშინ** ჰრქუა **ეპიფანე** ფილოსოფოსსა მას, რამეთუ: «იტყვს **დანიელ**, ფილესოფე, რამეთუ განსაკითხესა დაჯდა და წიგნნი აღეზუნეს (დან. 7,10); აწ მოვედ, დასხენ შენნი წიგნნი და მე — ჩემნი, რომელნი ღმერთმან ჩემმან მომმადლნა მე, და დავსხედეთ და განვიკითხნეთ თავნი ჩუენნი». **ჰაშინ** დასხნა **ეპიფანე** ღმერთით სულიერნი იგი წიგნნი მარჯუენით კერძო, და ფილოსოფოსმან მან — მარცხენით კერძო. **ოა** დაჯდა **ეპიფანე** მსგავსად ეგრძთვე მარჯუენით კერძო, და ფილოსოფოსი იგი — მარცხენით კერძო. **ჰაშინ** იწყეს დასაბამისასა მას სოფლის შესაქმისასა წიგნთა, **ხოლო ეპიფანე** — დაბადებისასა მას, რომელ-იგი **მოსე** აღწერა, **ხოლო** ფილოსოფოსმან მან — მისსა მას დაბადებასა, რომელი-იგი **ისიდონ** აღწერა. **ოა** შემდგომითი შემდგომად გარდავლეს ორივე იგი წიგნი და იპასუხებოდეს იგინი ურთიერთას, არამედ იყო ნათელი ნათელ და ბნელი იგი — ბნელ, რამეთუ **მოსე** ღმრთისა შეწევნითა აღწერა, **ხოლო ისიუდოს**ს რომელსა-იგი ღმრთისაგან ცხორებად აქუნდა, ეშმაკისა ცთუნებითა აღწერა. **ოა** წელიწადი იგი ყოველი დაყო **ეპიფანე** ცილობასა მას ზედა ფილოსოფოსისა მის თანა.

24. **ოა** მერმე ოდესმე ერისაგანთა ვიეთმე, რიცხვით ვითარ სამეოცთა, მოიყვანეს ჭაბუკი ვინმე, რომელი სულისაგან არაწმიდისა აღშფოთებულ

იყო, და ვერ შეუძლეს შეკრძაღვად სამეოცთა მათ. ჰაშინ ჯაჭვთა შებორკილეს და მოიყვანეს მონასტერსა მას **ეპიფანესა**. ჰაშინ ჰრქუა **ეპიფანე** ფილოსოფოსსა მას: «მივედ, ფილოსოფე, რომელი-ეგე პასუხობასა ჰყოფ ცოდვილისა **ეპიფანეს** თანა, და ჰხადე მრავალთა ღმერთთა შენთა, რადთა განადონ სული ესე ჭაბუკისა ამისგან». ღოლო ფილოსოფოსი იგი განიზრახვიდა ესრტო, ვითარმედ სძლო მან **ეპიფანეს** და არ-ღარა პოვა მან სხუად სიტყუად, ვერე ვგონა მას **ეპიფანეს** **მსოფს**. ზოლო **ეპიფანე** ცნა ესე და ჰრქუა ფილოსოფოსსა მას: «რასა იტყვ, ჰ ფილოსოფე, ჭაბუკისა ამისთვს: ანუ განკურნე უძღური ესე, და მაქუნდეს სარწმუნოებად ღმრთისა შენისად, ანუ ღმერთმან ჩემმან განადონ სული ესე არაწმიდად ჭაბუკისა ამისგან, და იყავ შენ სარწმუნოებასა ჯუარ-ცუმულისასა». ღოლო მას ყოველსა ზედა არა ჰრწმენა ფილოსოფოსსა მას **ეპიფანეს** იგი სიტყუად, რამეთუ ლაღობის ვგონა მას.

ჰაშინ **ეპიფანე** აღდგა და უჰყრა ჭაბუკსა მას და ჰრქუა: «შენ გეტყვ, ჭაბუკო, გინებსა რადთა გამოგიხუნე რკინანი ესე კელთაგან შენთა?» ზოლო ფილოსოფოსსა მას ვითარცა ესმა ესე, მეჭსეულად მირბიოდა იგი ერთსა სენაკსა და დაჰჰმა კარი იგი და თქუა და განიზრახვიდა გონებასა თვსსა ესრტო: «ამას კეთილსა ბერსა უცბობით განცნაჲ ჰნებავს ცოფისად ამის, და უკუეთუ ჩუენ არა ვივლტოდიოთ, ვითარცა სიტყუა-მეცნიერნი იგი, განუზრახველად შეგუემთხვოს ბოროტად ვნებად იგი წყლულისა ამისგან».

ჰაშინ გამოუხუნა **ეპიფანე** რკინანი იგი ჭაბუკსა მას და დასწერა მას სამჯერ ჯუარი და ჰრქუა არაწმიდასა მას სულსა: «გამცნებს შენ **ეპიფანე** ცოდვილი, მონად უფლისად, სახელითა იესუ ქრისტესითა ჯუარ-ცუმულისა, ძისა ღმრთისადთა: განვედ შენ კაცისა ამისგან და ნუღარა შეხუალ მისა!» მაშინ მეჭსეულად განვიდა არაწმიდად იგი სული მისგან, და იყო დიდსა შინა დაწყნარებასა ჭაბუკი იგი. ჴილა რად ფილოსოფოსმან მშჯღობად იგი მისი, მაშინ აღჰხდა დასაჰშველი იგი და გამოხლდნა სენაკისა მისგან და თაყუანის-სცა **ეპიფანეს** და იტყოდა იგი წინაშე **ეპიფანესა** ამას სიტყუასა: «**ეპიფანე** გკრგჯნოსანო, რამეთუ აწ მრწამს და მრწმენა, რომელსა-იგი შენ იტყოდე ყოფილისა ამისგან, რამეთუ სიტყუად ზოლო ფრინავს უნაყოფოდ, ზოლო საქმენი ჩანან ნაყოფიერად. Ⴀწ მნებავს მეცა ყოფად ჯუარ-ცუმულისა თანა». ღოლო **ეპიფანე** ჰრქუა ფილოსოფოსსა მას: «რად-სათვს გიკერს, თქვ, ჰ ფილოსოფე, ამას ზედა,

ვითარცა ჩუენ მიერ ყოფილსა? არა, არამედ ძმ ღმრთისად არს, რომელი იქმს მორწმუნეთა მის-თათვს კეთილსა ამას». Ⴀა ესე ზოლო ჰრქუა **ეპიფანე** ფილოსოფოსსა მას და უფროდსიცა ამისა.

25. ჰაშინ ევედრებოდა მას ფილოსოფოსი იგი, რადთა მოსცეს მას ქრისტეს ბეჭედი იგი. ჰაშინ წარმიყვანნა ჩუენ — იგი და მე — **ეპიფანე**, და მივედით ჩუენ დიდისა **ილარიონისა**, და ნათელ-სცა მას დიდმან **ილარიონ**. Ⴀა დავეყავთ ჩუენ მონასტერსა მას შინა დიდისა **ილარიონისა** ვითარ ოცი დღმ. Ⴀა ევედრებოდა **ეპიფანე** დიდსა **ილარიონს**, რადთა წარავლინოს **ეპიფანეს** თანა ფილოსოფოსისა ერთი ძმათაგანი **ელფთრეპოლისა**, რადთა უკუე ყოს იგი ეპისკოპოზმან მღღელ. ღოლო დიდმან **ილარიონ** ყო ვერედო. Ⴀა ესრტო წარმოვედით ჩუენ მონასტერსავე ჩუენსა, რომელსა ჰრქვან **სპანოღრიონ**.

ჰაშინ **ეპიფანე** მოუწოდა ყოველთავე მათ ძმათა და ჰრქუა მათ: «ამას ოდესმე ვგონა რადმე თავი თვსი, ვითარმედ ვარ რადმეო, რომელ არად იყო, რამეთუ იტყოდა ესე თავსა თვსსა ფილოსოფოსად, ზოლო აწ ესერა მადლითა ქრისტესითა ჰეშმარიტად იქმნა ფილოსოფოსად, რომელი მღღელლობისცა ჰატოვსა ღირს იქმნა. Ⴀწ ესე არს სულიერი მამად თქუენი». Ⴀა რამეთუ ესეცა **ეპიფანე**, რომელ არს ფილოსოფოსი, იგიცა ღირს იქმნა მადლთა მრავალთა ღმრთისა მიერ, და იგი იყო მამასახლის ყოველსა მას ზედა კრებულსა.

26. ჰაშინ მრავალნი მოვიდოდეს მონასტრად და არა უტყვებდეს დაყუდებად **ეპიფანეს**. Ⴀა განიზრახვიდა იგი დატყვებასა ადგილისა მის და წასულასა **გვპტით** კერძო და მრქუა მე: «შვილო, მომიდგეა მე?» ზოლო მე ვარქუ მას: «მიგდევდე შენ, მამაო, ვიდრეცა ზჯდოდი». ჰაშინ მოუწოდა ყოველთა მათ ძმათა და იჯმნიდა მათგან და მიხეზი რადმე საციქუელისად მოიღო მათდა და ჰრქუა, რამეთუ: «წარვალ მე, შვილნო, ძმათა მოხილვად მონასტრად დიდისა **ილარიონისა**». ღოლო მათ ცნეს, რამეთუ წასულად ეგულები მას მრავლისა მისთვს შფოთისა მომავალთამს. Ⴀა ყოველნი იგი დაცვეს პირსა ზედა თვსსა და დიდითა ტირილითა და გოდებითა ევედრებოდეს **ეპიფანეს**, რადთამცა არა წარვიდა იგი. ჰაშინ **ეპიფანეს**ცა დიადვე შეეწყალნეს იგინი და მოვიდა იგი, არწმუნა მათ და ჰრქუა, ვითარმედ არღარა წარვიდეს იგი.

Ⴀა დავეყავთ რად ჩუენ ათი დღმ, და მიმიყვანა მე **ეპიფანე** ღამე, და გამოვედით ჩუენ და წარვედით **იერუსალემდ** და თაყუანის-ვეცით ჩუენ ცხორებისა ჩუენისა ჰატიოსანსა ჯუარსა უფლისა-

სა. ოა დავყავთ ჩუენ ქალაქსა შინა მიმოსლვითა ადგილთა მათ სალოცავთა ვითარ ათი და ექუსი დღმ. ოა გამო-რად-ვედით ჩუენ ქალაქით და ვითარ შთავიდოდეთ ჩუენ **იოპედ**, რადათამცა წი-
 5 ალვეკედით ჩუენ ნავითა **გვპტედ**, მაშინ შეგ-
 უემთხვა ჩუენ დედაკაცი ვინმე აღბორებულთი
 სულისაგან არაწმიდისა. ომან შეუპერა ორეკცი
 სამოსლისა ყური **ეპიფანეს** და მოაპო იგი, და
 მვესეულად განვიდა არაწმიდა იგი სული მისგან.
 ოაშინ დაგარდა იგი ფერკთა თანა **ეპიფანესთა**,
 ევედრებოდა და ეტყოდა: «შემინდვე, ნუ მრისხავ
 მე, მამაო!» ხოლო **ეპიფანე** პრქუა დედაკაცსა
 მას: «წარვედ შენ ცოცხლებით სახედ შენდა,
 რამეთუ იგი, რომელმან მიმაპო, განიპო». ოა
 წარვიდა დედაკაცი იგი მშკლობით სახედ თვსა.

27. ხოლო ჩუენ შთავედით **იოპედ** და ვპოვეთ
 მზად ნავი, რომელსა უნდა წიადლსვამ **ალექსან-**
დრიად. ოა განვედით **იოპით** მესამესა დღესა
ალექსანდრიად. ოა გამო-რად-ვედით ჩუენ ნავით,
 შევედით ქალაქად. ჴეგუემთხვა ჩუენ **ჰურიად**
 ვინმე, სახელით **აკულა**. ოსე იყო შჯულის-მოძ-
 20 ლუარი. ოა იწყეს **ეპიფანე** და მან შჯულსა ზედა
 და იცილებოდეს ურთიერთას და იყუნეს იგინი
 დიდსა პასუხობასა მას დღესა შინა, და ზვალ-
 ისა დღე მასვე ზრახვასა კუალად მოვიდეს და
 განივრცეს მრავლად სიტყუად იგი ურთიერთას,
 ვიდრემდის პრწმენა **აკულას** გამოთარგმანებად
 იგი **ეპიფანეს**. ოაშინ უურველად უნდა ქრისტე-
 ანე ყოფად, ხოლო **ეპიფანე** მიიყვანა იგი **ათანასე**
 ებისკოპოზისა.

28. ოა ჩუენ მოვედით **ალექსანდრიით** და
 წარვედით ზენა კერძო **თეპაიდით**, და შეგუემთხვა
 ჩუენ მონაზონი ვინმე, მოწაფმ დიდისა **ანტონი-**
სი, სახელით **პაფნოტიოს**. ოსრქუა მას **ეპიფანე**:
 «გუაკურთხენ ჩუენ, მამაო». ხოლო მან პრქუა:
 35 «კურთხეულ ხართ თქუენ უფლისა მიერ». ოაშინ
 ყო ლოცვად **პაფნოტი**, და ვიკითხენით ურთიერთას
 და დავიგრილეთ ჩუენ მცირედ ადგილსა მას. ოა-
 შინ ჰკითხვიდა **ეპიფანე** **პაფნოტის** ყოვლისავეთვს,
 რომელსა იქმოდა დიდი **ანტონი**, ხოლო მან უთხრა
 მას ყოველივე. ოაშინ პრქუა **ეპიფანე** **პაფნოტის**:
 «მინებს, მამაო, ყოფად ადგილსა მას, რომელსა
 პრქვან **ნიტრიად**». ხოლო **პაფნოტი** პრქუა **ეპი-**
ფანეს: «ჰე, მივედ შენ ცოცხლებით და აღემწრო
 მამათაგან. ოა შეკრიბე შენ თივად ზაფხულისად
 და წარვედ შენ კვპრესა ჴალაქსა და გამოზარდენ
 ცხოვარნი სასამოსლედ და პატვიის-ცემად ყრ-
 მათა, რომელნი იყუნეს შენდა კრავად».

29. ოსე რად თქუა **პაფნოტი**, მაშინ კუალად ყო

ლოცვად, და მოვიკითხენით ურთიერთას და წა-
 რვედით ჩუენ კაცად-კაცადი გზასა თვსსა. ხოლო
 იყო ვინმე ადგილსა მას **ლეონტი** ქალაქისასა
 კაცი, მრავალთა მიერ სახელოვანი, რომელთა
 5 ეგონა იგი კეთილისა მეტყუელ, და წინადთ-
 მეცნიერებად ღმრთისა მიერი აქუს მას. ხოლო
 სახელი ერქუა მას **იერაკის**. ოა მისთვს **პალ-**
ესტინესვე ესმინა **ეპიფანეს** და სურვიელად უნდა
 მისი ხილვად. ჴგრეცა **იერაკის** ესმინა **ეპიფან-**
ესთვს. ოა იყო ესე გარეშე **ლეონტი** ქალაქსა ვი-
 10 თა მილიონით ერთით. ოსე ასწავებდა არა აღდგ-
 ომასა ამათ კორცთასა, არამედ სხუანიო ამათ
 ნაცვალად, და ესენი ქუეყანასა ზედა დადნენო,
 რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: **ქუეყანისად ხარ**
 15 **და ქუეყანადვე მიიქცეო** (შესქ. 3,19). ოა კუალად
 იტყოდა იგი ყრმათათვს, ვითარმედ არა სრულად
 იყუნენ იგინი მერმესა მას საუკუნესა.

ოა შე-რად-ვედით ჩუენ მონასტერსა მას მის-
 სა, ვპოვეთ სიმრავლმ იგი დიდძალი, რომელნი
 20 იმოძღურიდეს მისგან, რამეთუ იყო ესე გან-
 შორებულ ყოველსა საჭმელსა და სასუმელსა
 მრავალსა, რამეთუ არცა ზეთი და არცა ღვწო
 შე-სადამე-სრულ იყო პირსა მისსა, ვინადთგან
 იქმნა იგი მონაზონ.

25 ოითარ უკუე იხილა მან **ეპიფანე**, ჰკითხვიდა
 მისთვს, ვითარმედ ვინაჲ არს იგი, და ისწავა,
 ვითარმედ **პალესტინელი** არს იგი. ოა კუალად
 ჰკითხა სახელი მისი და ისწავა, ვითარმედ **ეპი-**
ფანე პრქვან მას. ოსმა რად ესე, შემფოთნა ფრი-
 30 ად, რამეთუ იყო **გვპტეს** ჰამბავი **ეპიფანესთვს**,
 ვითარმედ სიტყუა-მეცნიერ არს იგი და წინადთ-
 ცნობად აქუს მას.

ოა ამისა შემდგომად, ოდეს-იგი იკითხა **ეპი-**
ფანესთვს, ვითარმედ ვინაჲ არს იგი, და ისწა-
 35 ვაცა სახელი მისი, მაშინ კუალად იწყო სწავლად
 კრებულსა მას. ოა ვითარ მოვიდა იგი აღდგომი-
 სათვს მკუდართადსა, უთხრობდა მას და იტყოდა
 კორცთათვს, ვითარმედ არა აღდგენო. ოსმა რად
 ესე **ეპიფანეს**, შემფოთნა და პრქუა **იერაკის**:
 40 «და დაიდვე საცოჲ პირსა შენსა, ისწავე და ნუ ჰგ-
 მობ ჩუენსა სასოებასა». ოა სიტყუასა მას ოდენ
ეპიფანესსა მეცსეულად დაადგრა **იერაკის** პირ-
 უტყუად და შეუძრველად ადგილსა მას. ოხილეს
 რად ყოველთა მათ, რომელნი ისწავებდეს მისგან,
 45 რომელი-იგი ყო **ეპიფანე** საკურველი **იერაკის**
 ზედა, განუკურდა ყოველთა მათ. ოაშინ **ეპიფანე**
 წარმოიღო სიტყუად საღმრთოთაგან წიგნთა და
 იწყო ყოველთა მათ სწავლად აღდგომისათვს.

ოა ვითარ წარვდა სამი ოდენ ჟამი, და იყო

იერაკის პირ-უტყუად მდგომარე, და ამისა შემდგომად პრეჟა მას ეპიფანე: «იტყოდე აწ სიტყუასა ჭეშმარიტსა და გესმოდენ სარწმუნოებად მტკიცედ». შაშინ იერაკის აღეტყუა და თქუა: «ვცოდე და ვსცეთ, არამედ შვეინანო უკეთურისა მისთვს გონებისა».

30. ოა წარმო-რად-ვემართენით ჩუენ ლეონტი ქალაქით, აღვედით ჩუენ ზემო თუბაიდათ კერძო. ოა იყო ვინმე მუნ მართალი კაცი, სახელით იოვანე. ოა შე-რად-ვედით მისა, შეგკწყნარნა ჩუენ სიხარულით. სუენეს ვინმე მუნ მის ადგილისანი და ამათ ჭაბუკი ვინმე შეკრეს ლოდებად იგი იოვანტსა, რამეთუ იყო იგი სულისაგან არაწმიდისა აღშფოთებულ. ჴითარ უკუე იხილა ამან ეპიფანე, პრეჟა მას დიდითა კმითა: «რამათვს მოხუედ აქა, ეპიფანე, მონაო ღმრთისაო?» და ესე დგა სამხრისა ჟამითგან ვიდრე ცხრა ჟამამდე, ესრტო კმობდა. შაშინ მყის განხეთქნა მან საკრველნი იგი და მორბიოდა ეპიფანტსა და შეუპყრნა მან ფერკნი ეპიფანეს, კმობდა იგი და იტყოდა: «განმცენ მე, გაფუცებ შენ ღმერთსა, რომელსა ჰმსახურებ შენ», რამეთუ ეპიფანეს წინადთვე ემცნო არაწმიდასა მას სულსა, ვითარმედ ნუ განხუალ კაცისა მაგისგან, რადამცა არა ცნა იოვანე ეპიფანესა მიერ საქმე იგი. შაშინ პრეჟა ეპიფანე ჭაბუკსა მას: «აღდე, კაცი! რამათვს შრომასა შემამთხუე მე?» და მეცსეულად აღდეგა ჭაბუკი იგი განცოცხლებული, რამეთუ არაწმიდად იგი სული განვიდა მისგან.

ოა სამი დღე დავეყვით ჩუენ იოვანტს თანა. სყო იგი კაცი საკრველი და სათნოებითა მრავლითა შემკობილი. ოა წარმო-რად-ვედით ჩუენ მიერ, შთავედით ბუკულიად და დავეყვით მუნ შუდი წელი. ოა მუნცა დიდოვე შრომად აქუნდა ეპიფანეს მოძაგლთაგან.

31. შერმე ოდესმე ფილოსოფოსი ვინმე, სახელით ვედემონ, ესე მოვიდა ეპიფანესა, და წარმოიღეს მათ სიტყუად ურთიერთას და დავეეს მათ ათი ოდენ დღე სიტყუასა მას შინა ურთიერთას, რამეთუ ეპიფანე ღმრთით სულიერთა წიგნთა უჩუენებდა ვედემონს, ხოლო ვედემონ უკმარსა პასუხობასა სიტყუად-უგებდა თქუმულთა მათ ეპიფანეს მიერთა. ოა ესუა ვედემონს მონად, რომელსა თუალი ერთი დაყოფილ იყო. სრეჟა ეპიფანე ვედემონს: «აჰა ეგერა, ფილოსოფოს, რომელი-ვეე ყოვლითავე შემკულ ხარ — სიტყუათა და სიმდიდრითა — და რამეთუ მრავალ არიან ღმერთნი შენ მიერნი, რამათვს არა ჰყოფენ ზრუნვასა შენისა მონისათვს, რამათმცა ორნივე თუალნი

ესხნეს მას ცოცხალნი?» ხოლო ფილოსოფოსმან მან ამას ზედა განიცინნა და პრეჟა ეპიფანეს: «უკუეთუმცა ცასა ქუეშე მონად ხოლო ვედემონისი იყო ერთ-თუალი, მაქუნდამცა, ვინ იცის, ზრუნვად მისთვს; უკუეთუ აღურაცხელ არიან, რომელ ერთ-თუალნი ვლენან ქუეყანასა ზედა, ესე რად განჰვალს ვედემონს ამისთვს?» ხოლო ეპიფანე პრეჟა ვედემონს: «და თუმცა მარტოდ იყო ეგე, ფილოსოფე, რამდცა ჰყავ მაგისისა განკურნებისათვს?» ხოლო ვედემონ პრეჟა: «სხუად არარად, განათუმცა განვიზრახე და ვთქუ, რამეთუ არა, და ვინ არს, ვითარ ჩემი მონად?» ხოლო ეპიფანე პრეჟა ვედემონს: «ნუ ზედა, შ ფილოსოფე, თქუმულსა ამას, ვითარმცა ლაღობით იყო, რამეთუ ღმერთი არს ჩუენ შორის ერთფერად. ოწ მოიყვანე აქა ყრმად იგი და იხილო გამოცდილებით დიდებად ღმრთისად».

სე თქუა ეპიფანე და უპყრა მონასა მას ვედემონისსა კელი და დასწერა თუალსა მას მისსა, რომლითა-იგი არა ხედვიდა, სამჯერ ჯუარი, და მეცსეულად აღიხილა მან. ჴითარცა იხილა ვედემონ, რად-იგი ქმნა ეპიფანე, მაშინ ევედრებოდა იგი ეპიფანეს და პრეჟა: «უკუეთუ საყუარელ თქუენდა არს, მოძღუარ, მეცა მინებს ქრისტიანე ყოფად». ხოლო ეპიფანე პრეჟა ვედემონს: «ისმინე, ფილოსოფე, სიტყუად კეთილი და წყალობად ღმრთისად, რომელი ქრისტიანეთა პრწამს:

შაშინ ოდესმე ისრაელი მონა იყო ფარაომსა, მეფისა მეგპტელთამსა, და განათავისუფლნა და იცნა იგინი მისგან და ზღუასა გამოიყვანა იგინი, ვითარცა კმელსა ქუეყანასა, და მოიყვანა იგინი ქუეყანასა, გამომდინარესა სძისა და თაფლისასა. ოა მერმე ესენი ურწმუნო იქმნეს, და დავიწყებად ღმრთისად აქუნდა მათ და წინაწარმეტყუელთა მიერ ევედრებოდა მათ და ეტყოდა: „ერო ჩემო, რად გიყავ შენ, ანუ რად გავნე შენ, ანუ რად განგარისხე შენ? მომიგეთ მე აწ უკუე სიტყუად“, მეცნიერო ვედემონ, ესრტო მზა არს ღმერთი ყოვლითავე სახითა კეთილითა: რომელნი მოვლენ, მათ შეიწყნარებს, დაღათუ ვისმე ცოდვად მრავალი ექმნეს, მი-ვე-ეტვენენ მას. ოწ უკუე წარვედ, გონიერო ვედემონ, და შევედ შენ ქალაქად და ნუ გრცხუენინ შენ შვერდომად ეპისკოპოსისა, რამეთუ ქრისტე სიმდაბლის-მოყუარე არს, ამისთვსცა მრავლითა სიმდაბლითა მოვიდა იგი ჩუენდა».

ჴითარცა ესმა ესე ვედემონს, სიტყუად იგი ეპიფანტსა, მაშინ შვეიდა იგი ქალაქად და შეურდა ეპისკოპოსსა და იქმნა იგი ქრისტიანე.

32. ისლადებად დიდი იყო ყოველსა მას ქუეყა-

ნასა **ეგვპტისასა**, და ეძიებდეს ეპისკოპოზნი შეპყრობად მისა, რადამცა ყვეს ეპისკოპოსად. **ხოლო ეპიფანე** იღუწიდა, რამეთუ იცოდა ესე, და მრქუა მე: «შვილო, მოვედ და კუალად წარვიდეთ მამულადვე ჩუენდა». **თა მოვედით მას კვესავე ჩუენ და შევედით მონასტერსა მას დიდისა ილარიონისსა.** **თა იყო დიდი ილარიონ** წასრულ მონასტრისა მისგან დიდისა მის შფოთისა, რომელნი მოვიდოდეს მისა. **თა წიადკდა იგი ნავითა კვარედ რომელსამე ადგილსა პაფლსა.** **თა ვითარ იხილეს ეპიფანე, განიხარეს სიხარულითა დიდითა და იყუნეს იგინი გლოვასა შინა დიდსა დიდისა ილარიონისთჳს.** **თა დაეყავთ ჩუენ მონასტერსა მას შიგან ვითარ ორმოცი ოდენ დღჳ.**

თა გამოვედით ჩუენ მიერ და წარვედით ჩუენსავე მას მონასტერსა, რომელსა პრქჳან სპანოდრიონ, სადა-იგი დაედგინა მამასახილისი ეპიფანეს — ედესელი იგი ეპიფანე. **შმას შეეკრიბა მონასტერსა მას შინა სიმრავლჳ იგი ძმათა და რამეთუ იყო ესეცა საკვრველივე კაცი.** **სხილეს რად ეპიფანე ყოველთა მათ, განიხარეს სიხარულითა დიდითა.** **თა ვიყვენით ჩუენ მონასტერსა მას შინა სამ დღე ოდენ, ერთსა სახლსა შიგან — მე და იგი.** **თა მეოთხესა დღესა მრქუა მე: «შვილო, მოიღე სენაკი სხუად და დაეყუდე მას შინა».** **თა ვყავ ვერძთ.** **თა ვიყვენით დაყუდებით მონასტერსა მას შინა.** **ხოლო ეპიფანეს ვგრე აქუნდა თავი თჳსი მონასტერსა მას შინა, ვითარმცა უცხოთა ადგილსა იყოფოდა იგი.**

33. **თა იყო სიყმილი ქუეყანასა მას ფინიკელთასა მას წელიწადსა შინა.** **თა შეკრბა სიმრავლე დიდძალი ეპიფანესსა და ევედრებოდეს მას და ეტყოდეს: «შეგუეწიე ჩუენ, მამაო, რადთა არა წარვწრმდეთ, და ევედრე ღმერთსა, რადთა მოსცეს წჳმად ქუეყანასა, და ყოს ქუეყანამან ნაყოფი თჳსი».** **ხოლო ეპიფანე კაცთა მათ პრქუა: «ნუ შრომასა შემამთხუევთ მე, კაცი ვარ ცოდვილი».** **ხოლო იგინი კუალად უფრომსად ევედრებოდეს ეპიფანეს, რადთა ილოცოს მან კაცთ-მოყუარისა მიმართ ღმრთისა.** **სრქუა მათ ეპიფანე: «გარქუ თქუენ, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ მე».** **თა ვითარ უფრომსად ევედრებოდეს იგინი, მოიწია ცხრად ჟამი დღისად.** **თაშინ პრქუა ეპიფანე მამასახლისსა: «უბრძანე ძმათა, რადთა დაუგონ ტაბლად კაცთა ამათთჳს, და ჭამონ და სუან და წარვიდენ გზასა თჳსსა».** **თა დაუგეს მათ ტაბლად.** **თა შევიდა ეპიფანე სენასა თჳსსა, ხოლო იგინი ჭამდეს.** **თა მზჳ მოსცემდა ბრწყინვალეებასა თჳსსა, ვითარმცა ზაფხულისა დღეთა.** **თა მეყსეულად**

დაბნელდა, და იყო ელვად და ქუხილი; და წჳმად დიდი გარდამოკდა ქუეყანასა ზედა, ხოლო იგინი შეშინდეს ფრიად და აღდგეს ყოველნი ტაბლისა მისგან, და არა იყო ადგილი ყოველსა მას ფინიკსა, სადა არა მიედო ევლოგია იგი. **თა დადგა წჳმად იგი სამ დღე გარდაუპყრობელად.**

თაშინ მოუკდეს კაცნი იგი სახლსა მას ეპიფანეს, ევედრებოდეს მას და ეტყოდეს, რადთა სიტყვთა პირისა მისისადთა დასცხრეს ზეცით წჳმად ესე. **ხოლო ეპიფანე პრქუა კაცთა მათ: «რადსათჳს, შვილნო, მე შემირაცხეთ ესე, რამეთუ მეცა კაცი ვარ, ვითა თქუენ, რამეთუ უფალმან იცის, რად გვკჳს ჩუენ.** **სრამედ გინებსა წასულის გზასა თქუენსა?»** **ხოლო მათ პრქუეს: «ჰე, მამაო».** **თა იგი გამოვიდა სენაკისა მისგან, და ყოველნი შეკრბეს და გარე-მოადგეს მას.** **თაშინ პრქუა ეპიფანე კუალად მამასახლისსა მას: «უბრძანე დაგებად ტაბლისად კაცთა ამათთჳს, რადთა ჭამონ და სუან და წარვიდენ გზასა თჳსსა».** **თა ვითარცა დასხდეს ყოველნი იგი ტაბლასა ზედა, ითხოვდეს ეპიფანესგან კურთხეასა.** **თაშინ ვითარცა თქუა ეპიფანე «ევლოგიტოს კუირიოს», მეკსეულად წჳმად იგი დასცხრა ქუეყანასა ზედა.** **თა იხილა რად ეპიფანე კუალად მუნცა მრავალი შფოთი, რომელ იქმნებოდა მომავალთაგან მისა მონასტერსა მას შინა, და კუალად უნდა წარსულად მიერ.**

34. **თერმე ოდესმე ეპისკოპოზნი შეკრებულ იყუნეს და ზრახვიდეს იგინი, რადამცა ვინ ყვეს ეპისკოპოს, და მოეკსენა ეპიფანესთჳს.** **თა იყო ვინმე მონაზონი შორის ეპისკოპოსთა მათ, კაცი სახიერი, ჭაბუკი ჰასაკითა და სრული გულის ჳმის-ყოფითა, სახელით პოლობიოს.** **შმან იცოდა ეპიფანე.** **თა პრქუეს მას ეპისკოპოზთა მათ: «წარიბ კარაული მალედ-მსრბოლი და მივედ შენ მონასტრად და იხილე, უკუეთუ მუნ იყოს ეპიფანე, და მალედ გვთხრა ჩუენ, არამედ ნუვის უთხრობ ამას და ნუცა მას ეპიფანეს».** **თა მორად-ვიდა პოლობიოს მონასტრად, შევიდა იგი და მოიკითხა ეპიფანე, ხოლო ეპიფანე პრქუა: «პოლობიე, რადსათჳს მოხუედ აქა?»** **ხოლო პოლობიოს პრქუა ეპიფანეს: «მე მინებს, მამაო, სრბად ჭჳმმარიტებისად».** **სრქუა ეპიფანე პოლობიოს: «ირბინე და მოხუედ, შვილო პოლობიოს, მოივლინე შენ წმიდათა მიერ მღვდელთ-მოძღუართა განმსტრობად ჩემდა, არამედ ნუ დაჰმალავ, შვილო, რამეთუ ბოროტ არს ტყუვილი, თქუ ჭჳმმარიტი, რამეთუ ღმერთი არს შორის ჩუენსა, და იყო შენ გამოცდილად მსახურად ჭჳმმარიტებისა.**

ხოლო მე მიმოვალ ადგილითი ადგილად იწრო-
თა და შესაძრწუნებელთა ცოდვათათჳს, არამედ
მოვედ შენ, შვილო **პოლობიე**, და იყავ აქა და
მიუძღუანე კარაული ეგე მდღელთ-მოძღუართავე
და დაუტევენ მდღელთ-მოძღუარნი იგი, რადთა
იძიონ, რომელი ღირს იყოს ადგილსა თჳსსა».

უსე რად პრქუა **ეპიფანე პოლობიოსს**, მეც-
სეულად შეიწყნარა სიტყუად იგი **ეპიფანსი** და
მოიკითხნა მან უკუანა შემდგომნი იგი მისნი
და მიუძღუანა კარაული იგი ეპისკოპოზთა მათ.
ხოლო **ეპიფანე** ილუწიდა **კკპრტსათჳს**.

და მასვე ღამესა მომიყვანნა ჩუენ — მე და
პოლობიოს, — და გამოვედით ჩუენ მონასტრისა
მისგან და აღვედით ჩუენ **იერუსალტმად** თაყ-
უანის-ცემად ცხორებისა ჩუენისა პატიოსანსა
ჯუარსა და შევედით ჩუენ და დავეყავთ ქალაქსა
შინა ვითარ სამი დღჳ. ოა მრქუა ჩუენ **ეპიფანე** —
მე და **პოლობიეს**: «მოვედით, შვილნო, წიაღვც-
დეთ **კკპრტეს** და ვიკურთხნეთ ჩუენ მამისა ჩუენი-
სა მიერ ღიდისა **ილარიონისგან**, რამეთუ მესმა მე
ყოფად მისი **კკპრტეს** შინა». ოა ილუწიდა **ეპიფანე**
კკპრტსათჳს.

პჳ. ოა შთა-რად-ვედით ჩუენ **კესარიად**, ვპოვეთ
მუნ ნავი **კკპრტსა** ქალაქსა შინა. ოა ჰკითხვიდა
ეპიფანე უფალსა მას ნავისასა ღიდისა **ილარი-
ონისთჳს**, ადგილსა მას და საყოფელსა მისსა.
ხოლო მან უთხრა მას, რამეთუ **პერსკიდეუსს** **პა-
ფტსსა** ერთსა შინა ქუაბსა იყოფვის იგი, და რა-
მეთუ ჩუენცა მუნვე მეუღლების, მასვე **პაფტესა** მი-
სლვად. ოა მასვე ღამესა შევედით ჩუენ ნავსა მას
და განვედით **პაფედ**. ოა გამო-რად-ვედით ჩუენ
ნავისა მისგან, და ვიკითხეთ ჩუენ ადგილი იგი და
მივედით ღიდისა **ილარიონისა**. ოა შესლვასა მას
ჩუენსა იყო სიხარული ღიდი შემთხუევისა მის-
თჳს. ოა დავეყავთ ჩუენ ადგილსა მას ორი ოდენ
თუჳ. ოა აქუნდა ღიდი შრომად ღიდსა **ილარიონს**
მომავალთაგან მისა.

ოა ვითარ ზრახა **ეპიფანე** წასულად ჩუენი
პაფტით, პრქუა **ილარიონ ეპიფანეს**: «ვიდრე
ხუალ, შვილო?» ხოლო **ეპიფანე** პრქუა **ილარი-
ონს**: «**ასკალონდ** და **გაზად** და მიერ უდაბნოდ». **ხოლო**
ილარიონ პრქუა **ეპიფანეს**: «წარვედ შენ
სალამინდ, შვილო, და ჰპოო მუნ ადგილი საყ-
ოფლად შენდა». **ხოლო ეპიფანე** არა ინება სმე-
ნად სიტყუად იგი **ილარიონისა**. ჰაშინ კუალად
პრქუა **ილარიონ ეპიფანეს**, რამეთუ: «გარქუ შენ,
შვილო, მუნ მისულად და მუნ ყოფად, და ნუ
გაქუნ პასუხობად სიტყუასა ჩემსა, ნუუკუე ჭირი
ზღვსად და ღელვად მისი მოიღო».

ოა მო-რად-ვიკითხეთ ჩუენ **ილარიონ**, შთავე-
დით ჩუენ ზღუად და ვპოვეთ ორი ნავი, რამეთუ
ერთი იგი მივიდოდა **ასკალონდ** და ერთი იგი
წიაღვიდოდა **სალამინდ**. **ხოლო** ჩუენ აღვკედით
ნავსა მას, რომელი-იგი წიაღვიდოდა **ასკალონდ**.
ოა იყო აღძრვად და სასტიკებად ღიდი ზღუასა
მას შინა, და ნავი იგი იგუემებოდა და შეიმუსრ-
ვოდა იძულებისა მისგან ღელვათამსა.

ოა-რად-ვეყავთ ჩუენ სამი დღჳ ზღუასა მას შინა
და განგუეწირნეს ჩუენ თავნი თჳსნი, და მეოთხ-
ესა დღესა წარიტაცა ნავი იგი და მიმოაქუნდა
ღელვასა მას და განგუთხონა ჩუენ **სალამინისა**
მას ქალაქსა. ოა გამო-რად-ვეკედით ჩუენ ნავისა
მისგან, ვისხენით ჩუენ ყოველნი ქუეყანასა ზედა,
ვითარცა მკუდარნი, ღიდისა მისგან ჭირისა და
უზმობისა. ოა დადგა ნავიცა იგი მას ადგილსა,
და ეგულეპოდა განგებად მისი, რამეთუ იყო იგი
დაცნილ იძულებითა მით ღელვათამთა. ოა და-
რად-ვეყავთ ჩუენ სამი დღჳ ადგილსა მას, და
მერმე მაღლითა ღმრთისამთა მოვეგენით ჩუენ
თავთავე თჳსთა.

პჳ. ოა კუალად უნდა **ეპიფანეს** წასულად ჩუენი
ნავითა ადგილისა მისგან. ოა იყო ეპისკოპოზი
ადგილისა მის მისვე ქალაქისა **სალამინელ-
თამსა** განსრულ ცხორებისა ამისგან, და შეკრე-
ბულ იყუნეს ყოველნი ეპისკოპოზნი **კკპრტსანი**,
რადთა ვინ აკურთხონ შემძლებელი მწყემსი სამ-
წყსოსა მას ქრისტტსსა. ოა დღჳ რავდენიმე ამ-
ისთჳს აქუნდა მათ და ევედრებოდეს ღმერთსა,
რადთა გამოუცხადოს მათ შემძლებელი და სა-
მარი მდღელთ-მოძღურობასა ზედა.

ოა იყო ვინმე ეპისკოპოზი, წმიდად კაცი, ვითარ
მილიონით ოც და ხუთით შორს **სალამინისასა**
მას ქალაქსა, რამეთუ კურთხეულ იყო იგი ეპი-
სკოპოზად ქალაქსა, რომელსა პრქუან **უკტრა**
ქუთრია, რამეთუ ამისთჳს იტყოდეს, ვითარმედ
აქუს მას ეპისკოპოზობასა შინა ვითარ ორმოც და
თურამეტი წელი, ვითარმედ ღირსცა ქმნულ იყო
მარტჯლობასა და მრავალსა ვნებასა ქრისტტსთჳს
და განტვეებულ იყო აღმსარებელი იგი ძისა ღმრ-
თისა. ომისთჳს იტყოდეს, ვითარმედ შეპყრობილ
იყო იგი **გელასის** თანა ეპისკოპოზისა **სალამინისა**
მის ქალაქისამსა მარტჯლობად. ოა იყო შობითგან
სახელი მისი მშობელთა მისთა მიერ წოდებული
პაპოს, რამეთუ იყო ესეცა ყოველთა მათ თანა ეპი-
სკოპოზთა, რამეთუ აქუნდა მათ იგი — ყოველთა
ეპისკოპოზთა — ვითარცა მამად ქრისტტს მიერ
აღმსარებლობისა მისთჳსცა დაწესებულ მათა
სიმართლისათჳს ეპისკოპოზობასა შინა, და რამე-

თუ წინადაცნობად ღმრთისა მიერი აქუნდა მას, რამეთუ ამას გამოეცხადა **ეპიფანსის**, რადთა აკურთხოს **სალამინისა** მას ეკლესიასა ებისკოპოზად. ოა იყო მაშინ ჟამი იგი ზაფხულისად, რამეთუ მსოფად ოდენ ყურძენი შეშავებულ იყო.

ოა ვითარ ზრახა **ეპიფანე** წასულად ჩუენი **სალამინისა** მისგან ქალაქისა, მრქუა მე და **პოლობიეს**: «გუალე, შვილო, და მივიდეთ საგაჭროდ და ვივიდოთ ყურძენი და შევიტანოთ ნავსა». ოა ვითარ ჩუენ მივედით საგაჭროდ და შევეზავებოდეთ ჩუენ ვაჭარსა მას, მაშინ **ეპიფანე** მოიხუნა ორნი ტევანნი უკეთესნი და პრქუა ვაჭარსა მას: «რად პბრძანო, და მიგცე შენ ორისა ამის ტევანისათვს?» რამეთუ ესე იყო ჩუეულებად **ეპიფანსი**: რადცა ყვის, არღარა უკუნუგის სიტყუად. **ხოლო** ვაჭარმან მან თქუა სასყიდელი ყურძნისად მის, და **ეპიფანე** მოიღო ლომად დადებად ვაჭრისა მის.

ჰაშინ წმიდად **პაპო** მოვიდოდა კელ-პერობით ორთა თანა დიაკონთა, და იყუნეს სამნი ებისკოპოზნიცა მის თანა. ოა ვითარ მოეახლნეს იგინი **ეპიფანეს**, **ხოლო ეპიფანეს** ჰქონდეს კელთა მისთა ორნი იგი ტევანნი და სასყიდელი მისი, თქუეს ვიეთმე მუნ მდგომარეთა: «აჰა ებისკოპოზნი მოვლენ აქა». ოაშინ პრქუა **პაპოს ეპიფანეს**: «დაუსხენ, ამბა, ტევანნი ეგე ვაჭარსავე მაგას და შემომიდგე მე ეკლესიად». **ხოლო** მას მოეცენა ღმრთისა იგი სიტყუად, რომელსა კმობს და იტყვს: «ვიხარე, რომელთა მრქუეს მე: და სახლსა უფლისასა შევიდე» (ფს. 121,2).

ჰაშინ შეუდგა იგი ეკლესიად. **ხოლო პაპოს** პრქუა **ეპიფანეს**: «ყავ ლოცვად, მამაო». **ხოლო პაპოზ** ამისთვს პრქუა, რადთა უკუე ცნას **ეპიფანესი**, უკუეთუ აქუს მას კურთხევად მღდელობისად. სრქუა **ეპიფანე პაპოზს**: «შემინდევ მე, მამაო, რამეთუ არა ვარ მღდელ». **ხოლო პაპოს** პრქუა **ეპიფანეს**: «იხილე და თქუ, შვილო, და ნუ წინაშე ამათ წმიდათა მამათა უარ-ჰყოფ, და დაისაჯო, ვითარცა იგი, რომელმან დამალა ტალანტი». **ხოლო ეპიფანე** პრქუა **პაპოზს**: «არა, მამაო, არა ყოფილ ვარ მე მღდელ».

სე რად თქუა **ეპიფანე**, მაშინ **პაპოზ** მი-ხოლო-სცა მშჳდობად, და ერთმან ვინმე დიაკონმან უპყრა თავი **ეპიფანეს** და მიჰყვანდა იგი **პაპსა** საკურთხეველად იძულებით, ვითარმედ შე-ცა-ვიდოდეს სხუანიცა მრავალნი, რადთა აღიყვანონ იგი საკურთხეველსა მას ზედა. ოაშინ აკურთხა იგი დიაკონად; და კუალად მისცა მშჳდობად და აკურთხა იგი ხუცად. ოა იყო მსახურებად იგი შემდგომითი შემდგომად, და აკურთხა იგი ებისკოპოსად.

37. ოა შემდგომად განტევებისა მის ეკლესიისა აღვედით საეპისკოპოზოდ. ოაშინ პრქუა **პაპოს ეპიფანეს**: «მოვედ, შვილო, და უბრძანე მამათა ამათ, რადთა მოვიდოთ ჩუენ საზრდელი და ვიხაროთ ჩუენ შენსა ამას ზედა მამობასა». **ხოლო ეპიფანეს** მძიმე-უჩნდა ესე და შემფოთნა იგი გულის-სიტყუთა, ტიროდა. **ხოლო პაპოს** პრქუა **ეპიფანეს**: «შეჰგანდა ჩემდა ღუმილი, ჰ შვილო **ეპიფანე**, არამედ ვიქმნები მე უგუნურ, რამეთუ შენ მაიძულე მე სიტყუად ყოფილსა ამას.

ჰამეთუ ოდეს მძანი ესე შემოკრბეს აქა, ღმერთისა მიუტევეს საქმს ესე, რადთა გამოუცხადოს მათ ებისკოპოსი, და მეცა შრომასა შემადგეს, რამეთუ ყოველნი ესე მამანი მეტყოდეს მე ცოდვილსა: „ილოცე გულს-მოდგინედ, რადთა გამოიცხადოს შენ ღმერთმან“. **ხოლო** მე თავი ჩემი თვსაგან ვყავ ერთსა შინა სენაკსა და ვვეედრებოდე მაცხოვარსა ამისთვს ესრწო. ოაშინ ელვად გამობრწყინდა სენაკსა მას შინა, და მესმა მე კმადცა, მოცემული ჩემდა, ცოდვილისა ამისა: „**პაპე, პაპე, ისმინე!**“ **ხოლო** მე შეშინებულ ვიქმენ და ვარქუ: „რად პბრძანე, უფალო ჩემო?“ და მრქუა მე სიმშჳდით: „აღდეგ შენ და შენ თანა წარიყვანე ერთი დიაკონი და შთავედ შენ საგაჭროდ და აჰა ეგერა მუნ პპოო მონაზონი ვაჭრისა თანა ყურძნისადსა, და ორნი მონაზონნი პქონან მის თანა, მსგავსი **ელისშისი** თავითა, სახშ მისი. ჴი აკურთხე ებისკოპოსად, არამედ ნუ უთხრობ მას, რადთა არა იფლტოდის იგი, **ხოლო სახელი მისი არს ეპიფანე**“. ოჰა ესერა ვიქმენ მე უგუნურ, შვილო, რამეთუ შენ მაიძულე მე სიტყუად. სწიხილე, რად ჰყო, და ეკრძაღე თავსა შენსა, რამეთუ მე მოვფლინე და, რად-იგი თანა-მედვა ყოფად, ვყავ, აწ უბრალომცა ვარ ამას ყოველსა ზედა, შენ იხილე, შვილო».

სე რად ესმა **ეპიფანეს**, დავარდა იგი პირსა ზედა თვსსა და თავყუანი-სცა **პაპოსს** და პრქუა: «ნუ მრისხავ, მამაო, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ და არა მოწვეწულ ვარ საზომსა მღდელთმოდღურობისასა». ოა თავყუანის-სცა ყოველთა მათ და უბრძანებდა იგი სამხარსა მას ზედა. ოა ისამხრნეს იგინი, და წარვიდა კაცად-კაცადი თვსსა ეკლესიასა.

38. ოა შემდგომად სამისა დღისა კაცი ვინმე იყო დიდებული, სახელით **ვეგნომოს**, და კუალად სხუად კაცი ვინმე იყო ბრწყინვალშ ქალაქისად მის. ომისგან შევარდა იგი სააყრობილესა, რამეთუ ზედა-ედვა მას ასი ღრაპკანი, რამეთუ სახელი შემაგდებელისად მის იყო **ღრაკონ**, **ხოლო**

შვერდომილისაჲ მის — **ვეგნომოს**, რამეთუ ესე იყო **პრომი** და არავინ აქუნდა მას მცნელი საპყრობილისა მისგან. ოსმა რაჲ ესე **ეპიფანეს**, მივიდა იგი **დრაკონტისა** და ევედრებოდა მას, რაჲთა განუტეოს **ვეგნომონ**, **პრომი** იგი, საპყრობილისა მისგან. **ჰოლო დრაკონ** პრქუა **ეპიფანეს**: «წარვედ და მოიღე, მწირო ქალაქისა ჩუენისაო, ასი დრაჰკანი, რომელსა ზედა-აც ჩემი შენსა ამას მოყუასსა მწირსა, და მომეც მე იგი და წარიყვანე ეგე». ჰამეთუ იყო ესე **დრაკონ** წარმართი და მდიდარ ფრიად და ველურ იყო იგი სახითა. ჰაშინ **ეპიფანე** წარვიდა საეპისკოპოსოდ, რამეთუ იღვა ასი დრაჰკანი საეპისკოპოსოსა შინა სამსახურებელად ეკლესიასა. **ჰოლო ეპიფანე** მოიღო იგი და წარვიდა და მისცა იგი **დრაკონს** და განუტევა უცხოჲ იგი.

39. ოთი ვინმე დიაკონი, სახელით **ქარინოს**, ესე მრავალთა მიერ წამებულ იყო უკეთურებისა მისისათჳს. ომან აღძრნა ყოველნი იგი მღღელნი **ეპიფანეს** ზედა და პრქუა მათ: «მოვედით და განვაძოთ უცხოჲ ესე, ნუჲკუე შეჭამოს ამან ყოველივე ეკლესიისაჲ, და ვიპოვნეთ ჩუენ ბრალეულ ცოდვისა ამისთჳს». ჰამეთუ იყო ესე **ქარინოს** მდიდარ ფრიად და ეძიებდა განძებასა **ეპიფანესსა**, რაჲთამცა იგი დაჟდა საყდარსა მას. **ჰო-რაღვიდეს** ყოველნი იგი **ეპიფანესა**, იტყოდა **ქარინოს** წინაშე მისა სიტყუასა ამას: «არა კმა-გეყოა შენ, ზ **ეპიფანე**, რამეთუ მოხუედ აქა, რომელსა სამოსელიცა არა გემოსა, და ვითარ მიიღებ შენ ეკლესიისასა და განაბნევ, ვითარცა უცხოჲ, ეკლესიისასა? და ვინ ესე თავს-იდვას, ანუ ვინ მოგუცეს ჩუენ ასი იგი დრაჰკანი ეკლესიისაჲ? ანუ ვიდოდე შენდავე მამულად».

ჰაშინ წარვიდა **პრომი** იგი, რომელი განტეუბულ იყო **ეპიფანეს** მიერ, **პრომედ** და ყოველივე განყიდა მისი და მოართუა ზუასტაგი **ეპიფანეს**. **ჰოლო ეპიფანე** მოიღო იგი და განუყო, რომელთა იგი უცმდა, და **პრომი** იგი დაადგრა **ეპიფანეს** თანა, ვიდრე დღედმდე სიკუდილისა მისისა. ჰერმე ოდესმე მოიღო **ეპიფანე** ასი იგი დრაჰკანი და მისცა იგი **ქარინოსს** და პრქუა მას: «მიიღე ასი ესე დრაჰკანი, რომელი მიმეცა მე უცხოჲსა მისთჳს». **ჰოლო** ამას უბადრუკსა ძაღლისა თუალნი ესხნეს, მიიღო დრაჰკანი იგი **ეპიფანესგან**. ჰაშინ მოხადა ყოველთა მღღელთა **ქარინოს** და პრქუა მათ: «მოვედით და მიიღეთ ასი ესე დრაჰკანი, რომელი განებნია **ეპიფანეს**, რამეთუ მოგჰყადე მას ყოველივე». **ჰოლო** მღღელთა მათ არა სათნო-უწნდა ბოროტი იგი გონებაჲ **ქარინოსსი**, არამედ

პრქუეს მას: «მივედ და ვისგანცა მოიღე ეგე, მიეც მასვე». **ჰოლო** მან არცაღა ესრჳთ მისცა **ეპიფანეს**, რამეთუ ჯეკმა ზოლო მრავალი ბოროტი იკმია **ეპიფანეს** მომართ. **ჰოლო ეპიფანეს** არარაჲ ყოვლად მანკიერებაჲ აქუნდა **ქარინოსისთჳს**.

ჰერმე ოდესმე სამხარი იყო საეპისკოპოსო შინა, და ჰქონდეს **ეპიფანეს** ყოველნი მღღელნი ტაბლასა მას ზედა. ოა იყო ჩუეულებჲა **ეპიფანესსი** ესე, რამეთუ კელთა შინა მისთა უპყრიენ წმიდაჲ ვანგელჳ ღამე და დღჳ და ასწავებენ იგი საღმრთოთა სიტყუათა. ჰაშინ **ეპიფანე** ასწავებდა ტაბლასა მას ზედა, რომელნი-იგი ისამზრებოდეს. ოა მფრინველი, რომელსა პრქუან ყორანი, მოვიდა და მოსცა ჳმად თჳსი ფიცხლად. **ჰოლო ქარინოს** პრქუა მათ, რომელნი-იგი ისამზრებოდეს: «ვინ თქუენგანმან იცის, რაჲ აღმოთქუა ყორან-მან იმან?» **ზოლო ეპიფანე** იტყოდა საღმრთოსა მას სიტყუასა. ოა კუალად ყორანმა მოსცა იგივე ჳმად, და კუალად პრქუა **ქარინოს**: «ვინ თქუენგანმან იცის, რასა იტყვს ყორანი ისი?» **ზოლო ეპიფანე** არა დააცადა, არამედ კუალად ასწავებდა ყოველთა მათ სამხარსა მას ზედა. ოა კუალად უკუე მოსცა მესამედ ჳმად თჳსი ყორან-მან მან, **ზოლო ქარინოს** იგივე თქუა. ჰაშინ **ეპიფანე** ყოვლადვე არა შეშფოთნა, არამედ დიდითა დაწყნარებულებითა პრქუა **ქარინოსს**: «მე ვიცი, რასა იტყვს ყორანი ისი». **ჰოლო ქარინოს** პრქუა **ეპიფანეს**: «მითხარ მე, და იყოს შენდა ყოველი მოსაგებელი ჩემი». **ჰოლო ეპიფანე** პრქუა **ქარინოსს**: «ამას იტყვს ყორანი ისი, რაჲთა არღარა იყო შენ დიაკონ». ოა სიტყუასა მას ოდენ **ეპიფანესსა** დაეცა ძრწოლაჲ **ქარინოსს** ზედა და არღარა იტყოდა იგი, არცა ჳამა, გინა სუა, არამედ აღიღეს იგი მონათა მისთა და მიიღეს იგი სახედ მისა და დადვეს იგი სარეცელთა თჳსთა ზედა, და ზვალისა დღე მოკუდა იგი სარეცელსა თჳსსა ზედა.

ოსუა ამას ცოლი მორწმუნჳ, **ზოლო** შვილი მას არა ესუა. ომან მოართუა ყოველი იგი მონაგები **ეპიფანეს**, და მან ყო იგი დიაკონად ეკლესიასა. **ჰოლო** კელი მისი დაჳსნილ იყო ათისა წლისა ჟამთა. ოა ვითარ უკუე უპყრა მას კელი **ეპიფანე**, რაჲთამცა დასწერა ჯუარი, მეჳსეულად განცოცხლდა და აღუმცირდა მას საღმობაჲ იგი. ჰამეთუ მას დღესა შინა, რომელსა-იგი **ეპიფანე** ეტყოდა სიტყუასა **ქარინოსს**, და სიტყუასა მას ოდენ მისსა მოიღო მისთჳს ბრძანებაჲ უფლისა მიერ. ოა მიერთგან შიშით და ძრწოლით ყოველნი იგი მღღელნი ერჩდეს **ეპიფანეს**.

40. ოა იყო ჩუეულებად ესეცა ნეტარისა მის, რამეთუ ჟამსა მას შეწირვისასა არასადა დაასრულის მან შესაწირავი იგი, ვიდრემდის არა იხილის გამოჩინებად, რამეთუ ჩუეულ იყო ნეტარი იგი თქუმად რომელსამე სიტყუასა, და მეცხუელად გამოუჩნდის მას. ჭერმე ოდესმე თქუა სამჯერ სიტყუად იგი, და არა იყო გამოჩინებად იგი. ჭაშინ იგლოვდა იგი და ევედრებოდა ღმერთსა, რადთა გამოუცხადოს ბრალი იგი ეპიფანეს. ოა წინადათვე ამისა დააყენა მარცხენითი იგი დიაკონი, რომელსა-იგი სამწერობელი ეყრა სიწმიდისად. ოა ვითარ დააყენა იგი, მიჰხედნა მას და იხილა ეპიფანე, რამეთუ შუბლსა მისსა გამოჩნდა კეთრი, და რამეთუ იცოდეს ყოველთავე, ვითარმედ უბრალოდ იყო წინადათ დიაკონი იგი ვნებისა მისგან.

ჭაშინ ეპიფანე განყო კელი თვსი და სამსახურებელი იგი ჭურჭელი მოუღო და ჭრქუა მას დაწყნარებულებით: «წარვედ, შვილო, სახედ შენდა და საღმრთოსა საიდუმლოსა ნუ ეზიარები აწ». ღლო იგი მეცხუელად გამოვიდა და წარვიდა სახედ თვსა. ღლო ეპიფანე მისცა სხუასა დია-

კონსა სამწერობელი იგი და იწყო საღმრთოსა მას სიტყუასა შიშით და ცრემლით. ოა ვითარ აღასრულა, მეცხუელად იხილა გამოჩინებად იგი. ოა შემდგომად განტყვეებისა ეკლესიადსა მოუწოდა ეპიფანე დიაკონსა მას და ჰკითხვიდა მას, რამეთუ სწავლის უნდა ბრალისა მისთვის. ღლო მან ჭრქუა, რამეთუ: «მას ღამესა ცოლისა თვსისა თანა ვწევ». ჭაშინ მოხდა ეპიფანე ყოველთავე მათ საკურთხეველისათა და ჭრქუა მათ: «თქუენ გეტყვ, შვილნო, რომელნი-ეგე ღირს ქმნულ ხართ მღდელობასა, წარიძუარცუენით თქუენ ფერკთ-შესასხმელნი თქუენნი და ნულარა ზუალთ ესევეითარსა მას ზედა, რადთა განიკურნოს კაცი, რომელი ეკლესიასა შინა ქადაგებს და იტყვს, რამეთუ: რომელთა ესხნენ ცოლ, ვითარცა არა ესხნენ». ომისგანად უკუე არღარავინ აკურთხის ეპიფანე, რომელსა უვინ ცოლი, არამედ კაცი წმიდად, მარტოდ ცხორებული და კაცი ქურიგი და გამოცდილი.

20 ოა იყო ჭეშმარიტად ხილვად იგი ეკლესიისად მის, ვითარცა სიმწ შუენიერად შემკული მღდელთა მათ მიერ.

